მოძრავი და ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის

შპს „მაგთიკომის“

ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

წინამდებარე დოკუმენტით, რომელიც შემუშავებულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 21 მაისის # 240/9 გადაწყვეტილებით დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების შესაბამისად, რეგულირდება შპს „მაგთიკომის“ ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების პირობები.

1. ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების მისამართები

ა) ქ.თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ.N5;
ბ) ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ.N 88;
გ) ქ.ბათუმი, ბაგრატიონის ქ.N103.

ზემოაღნიშნულ ურთიერთჩართვის წერტილებში ჩართვისათვის გამოყოფილია თანალოკაციის ფართები:

ა) ქ.თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ.N5–ში – 15კვმ;
ბ) ქ.ქუთაისში, ავტომშენებლის ქ.N88–ში – 10კვმ;
გ) ქ.ბათუმში, ბაგრატიონის ქ.N103–ში – 10 კვმ.

2. ურთიერთჩართვის წერტილში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისების აღწერილობა

ურთიერთჩართვის წერტილებში გამოყენებული ინტერფეისებია:

- G 703;
- SDH სტანდარტის შესაბამისი STM -1 -ის ოპტიკური ინტერფეისი.

3. ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) ტარიფები

- მობილურ ქსელში: 8 99, 8 98, 8 96, 8 95, 8 91, 8 51

ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/ დასრულება) ტარიფი - 8 (რვა) თეთრი/წთ, დღგ-ს ჩათვლით.

- ფიქსირებულ უსადენო ქსელში: საქართველოს ტერიტორია – 8 90;

ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულება) ტარიფი - 2 (ორი) თეთრი/წთ, დღგ-ს ჩათვლით

- ფიქსირებულ სადენიან ქსელში:

თბილისი - 26XXXX, 170XXX-177XXX, 44XXXX; ქუთაისი - 8231 10XXX.

ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულება) ტარიფი - 4 (ოთხი) თეთრი/წთ, დღგ-ს ჩათვლით.

- ტრანზიტული გატარების ტარიფი საქართველოს ტერიტორიაზე - 1 (ერთი) თეთრი/წთ დღგ-ს ჩათვლით.

ურთიერთჩართვის წერტილამდე E1 არხის ორგანიზების საფასური შეადგენს 1 500 (ათას ხუთასი) ლარს, დღგ–ს ჩართვლით, ხოლო ყოველთვიურად გადასახდელი თანხა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს დღგ–ს ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების პირობები

„მაგთიკომი“ და მასთან ურთიერთჩართული ოპერატორი შემოსავლების აღრიცხვას განახორციელებენ ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვამდე, ერთობლივი საოქმო გადაწყვეტილების მიღებით, სადაც აღნიშნული იქნება მომსახურების სახეები, ინფორმაცია ტრაფიკის შესახებ წამობრივი დამრგვალებით, მხარეთა კუთვნილი თანხები და საბოლოოდ გადასახდელი თანხა.

განხორციელებული გამოძახებების რაოდენობის და ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაციის აღება და შედარება მოხდება მხარეთა სადგურებში არსებული შესაბამისი ფაილებიდან. განხორციელებული გამოძახებების და ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, მხარეები ვალდებულნი არიან გაცვალონ საბილინგო მონაცემები.

ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება შემოსავლების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, საოქმო გადაწყვეტილების მიღების მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვამდე. იმ შემთხვევაში, თუ იქნება წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება იწარმოებს ორმხრივად შეთანხმებულ ანუ არასადაო ნაწილზე, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. შეუთანხმებელ ნაწილზე მხარეები შექმნიან ერთობლივ კომისიას, რომელიც 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის მხარეთა CDR-ებს და უზრუნველყოფს შეუთანხმებელი ნაწილის შეთანხმებას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავის გადასაწყვეტად თითოეული მხარე უფლებამოსილია მეორე მხარესთან ინდივიდუალურად შეთანხმების შესაბამისად მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, სასამართლოს ან კერძო არბიტრაჟს .

„მაგთიკომი“ და მასთან ურთიერთჩართული ოპერატორი ვალდებულნი არიან მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე მოახდინონ მეორე მხარისათვის დღგ-ს ანგარიშფაქტურების წარდგენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მხარე უფლებამოსია წერილობითი შეტყობინების საფუძველზე დამრღვევ მხარეს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა, გადასახდელი თანხის 0,1%–ს ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს ოდენობა გამოიანგარიშება ანგარიშწორების ვადების დარღვევის დღიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის თარიღისა. პირგასამტეხლოს გადახდა დამრღვევ მხარეს დაეკისრება მეორე მხარის მხრიდან მხოლოდ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე და წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას დამრღვევი მხარის მიმართ.

5. არაპირდაპირი ურთიერთჩართვის პირობები

„მაგთიკომთან“ არაპირდაპირი, ტრანზიტული კავშირის ოპერატორის საშუალებით ჩართვის შემთხვევაში, „მაგთიკომთან“ არაპირდაპირ ურთიერთჩართული ოპერატორი უზრუნველყოფს ყველა სატრანზიტო ხარჯის დაფარვას, მათ შორის, მისი ქსელიდან წამოწყებული და „მაგთიკომის“ ქსელში დასრულებული, აგრეთვე „მაგთიკომის“ ქსელიდან წამოწყებული და მის ქსელში დასრულებული ზარების სატრანზიტო მომსახურების საფასურის გადახდას.

6. საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდებაზე, მსურველი პირისაგან აქცეპტის თაობაზე განაცხადის განხილვის პირობები და პროცედურები

ურთიერთჩართვის ხელშეკრულება ფორმდება წერილობითი ფორმით.
ურთიერთჩართვის ხელშეკრულების დადების მსურველი პირი განაცხადით მიმართავს „მაგთიკომს“. განაცხადში მსურველმა ავტორიზებულმა პირმა ცხადად უნდა ასახოს

წინამდებარე მოწვევის ოფერტით განსაზღვრული პირობების უპირობო აქცეპტი. განაცხადს თან უნდა დაერთოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული ავტორიზაციის მოწმობის ასლი, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი, ნუმერაციის ან სიხშირული რესურსის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი სალიცენზიო მოწმობის ასლი, აგრეთვე ხელშეკრულების შესრულების გარანტია.

განაცხადში უნდა მიეთითოს:

- საფირმო სახელწოდება, იურიდიული და ფაქტიური მისამართები, ტელეფონი, ელფოსტა, ფაქსი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი, საქმიანობის სახეები, რაზედაც გავლილი აქვს ავტორიზაცია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, არსებული ლიცენზიები სიხშირული და ნუმერაციის რესურსების მითითებით.
- ქსელის აღწერა, სავარაუდო ტრაფიკის მოცულობა, სიგნალიზაციის ტიპი, გამოყენებული ინტერფეისი.
- ურთიერთჩართვის მსურველი პირის მომსახურების სახეები და ტარიფები.

ურთიერთჩართვის მსურველი ავტორიზებული პირი განაცხადს აბარებს „მაგთიკომის“ ოფისში მისამართზე - ქ.თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ.N5.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაცვით შედგენილი განაცხადის და დოკუმენტაციის ჩაბარებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში ურთიერთჩართვის მსურველს გადაეცემა ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პროექტი ან ელექტრონული სახით გადაეგზავნება მის მიერ მითითებულ მისამართზე.

7. ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების ვადა

მოწვევის ოფერტაზე მსურველი აქცეპტანტი პირის მიერ განაცხადის წარმოდგენის თარიღიდან - 20 (ოცი) კალენდარული დღე.

8. ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებისა და დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის პროცედურები და პირობები

დამატებითი სიმძლავრე შეიძლება გამოეყოს მხოლოდ ურთიერთჩართულ ოპერატორს. მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იქნას წერილობითი ფორმით, შესაბამისი დასაბუთებით (მათ შორის ტრაფიკის ანალიზი).

9. ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებისა და დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის ვადა

დამატებითი სიმძლავრის გამოყოფის ვადაა მოთხოვნის წარმოდგენიდან - 20 (ოცი) კალენდარული დღე.

შენიშვნა: 20 დღიანი ვადა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი სიმძლავრის უზრუნველყოფა არ მოითხოვს არსებულ ქსელში ტექნიკური საშუალებების დამატებას. დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის პირობები დაკონკრეტდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რაც შესაბამისად აისახება მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

10. ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები

„მაგთიკომმა“ და მასთან ურთიერთჩართულმა ოპერატორმა 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის სარემონტო ან სხვაგვარი სამუშაოების ჩატარების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთჩართვის ტრაფიკის გატარების შეფერხება.

მხარეებმა დაუყონებლივ უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის ყველა იმ დაზიანების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებაზე, და შესთავაზოს ალტერნატიული გზები ტრაფიკის გასატარებლად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დადგომა აფერხებს ან შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

„დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

დაუძლეველი ძალის გარემოებები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი სახის მოვლენებით: სტიქიური უბედურებები, მათ შორის წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, მეწყერი, გაფიცვა, მასობრივი არეულობა, საბოტაჟი, ტერორისტული და დივერსრიული აქტები, ოფიციალურად გამოცხადებული ან გამოუცხადებელი საომარი მოქმედებები და შეიარაღებული კონფლიქტები, საგანგებო ან საომარი მდგომარეობები, ბლოკადა, ტერორისტული და დივერსიული აქტები, სამოქალაქო არეულობები, ხელისუფლების ორგანოების ისეთი მოქმედებები, აქტები ან სანქციები, რაც არსებითად აფერხებს ან შეუძლებელს ხდის მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების

დროის თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარემ, რომლისთვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულების შესრულება, ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

11. თანალოკაციის ფართით სარგებლობის პირობები

თანალოკაციის ფართით სარგებლობის შესახებ „მაგთიკომსა“ და მსურველ ავტორიზებულ პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება. ავტორიზებული პირისათვის თანალოკაციის ფართის გამოყოფის საფუძველია მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულება და ტერმინალის განთავსების ორმხრივად შეთანხმებული სქემა. აპარატურის განთავსების, აგრეთვე აპარატურის მოხსნის შემთხვევაში მხარეთა შორის ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

თანალოკაციის ფართზე ურთიერთჩართვის აპარატურის განთავსების პირობებია:
ა) ურთიერთჩართვისთვის გამოყენებული ტერმინალი (შიდა ბლოკი) უნდა თავსდებოდეს სტანდარტულ 19 დიუმიან დგარზე, ხოლო მისი სიმაღლე და სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 40სმ–ს;
ბ) მოხმარებული ელექტროენერგიის სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 150 ვტ–ს;
გ) „მაგთიკომი“ უზრუნველყოფს მუდმივი დენის გარანტირებულ ელექტროკვებას 48 ვოლტი ძაბვით, აგრეთვე სათანადო კონდიცირებას;

იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთჩართვის განხორციელებისთვის თანალოკაციის ფართის მსურველ ავტორიზებულ პირს ესაჭიროება რადიოსარელეო კავშირის ორგანიზება, მას „მაგთიკომის“ ანძებზე გამოეყოფა ფართი ანტენის დამონტაჟებისათვის, კერძოდ: ქ.ქუთაისში თანალოკაციის ფართის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ანძაზე არაუმეტეს 1,2 დიამეტრის პარაბოლური ანტენის, ხოლო ქ.ბათუმში, თანალოკაციის ფართის სახურავზე დამონტაჟებულ ანძაზე მცირე ზომის (არაუმეტეს 0,3–0,6მ დიამეტრის) პარაბოლური ანტენის განთავსებისთვის.

თანალოკაციის ფართზე დაშვების პირობები:
ა) თანალოკაციის ფართზე ავტორიზებული პირის წარმომადგენელი დაიშვება მხოლოდ „მაგთიკომთან“ შეთანხმებით და „მაგთიკომის“ წარმომადგენლის თანდასწრებით;
ბ) დაშვების ყოველი შემთხვევის შესახებ აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში, რომელშიც მიეთითება ავტორიზებული პირის წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება და ნომერი, დაშვების მიზანი, შესრულებული სამუშაო. ჩანაწერი დასტურდება „მაგთიკომის“ წარმომადგენლისა და თანალოკაციის ფართზე დაშვებული პირის ხელმოწერით.

თანალოკაციის ფართით სარგებლობის, ელექტროენერგიით უზრუნველყოფის, კონდიცირების საფასური შეადგენს თვეში 150 (ას ორმოცდაათი) ლარს, დღგ–ს ჩათვლით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ქ.ქუთაისში არსებული თანალოკაციის ფართის მიმდებარე

ტერიტორიაზე განთავსებულ ან ქ.ბათუმში თანალოკაციის ფართის სახურავზე დამონტაჟებულ ანძებზე მსურველ ავტორიზებულ პირს ესაჭიროება ანტენის განთავსება, საფასური შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს დღგ–ს ჩათვლით.

12. მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა

მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადაა - 2011 წლის 1 აგვისტომდე.